ორი დავრიში და შაჰი

ორი დავრიში მოვიდა ისპაანს. ერთი სადგომს დადგა და ერთი ისპაანის შაჰთან მივიდა.

ჰკითხა შაჰმან: მრავალი თემი მოგივლია, რა უფრო უცხო გინახავსო?

მან დავრიშმან მოახსენა:

– მრავალი უცხო მინახავს, მაგრამ ძოღან ღამ აქ საკვირველი რამ უცხო ვნახე, არას ადგილს არ მინახავსო. რა შუაღამე შეიქმნა, მოვიდა ერთი ასეთი მფრინველი: ერთი ფუნდუკი მისის კაცებითა, აქლემებითა, ადგილითა, სახლებითა, გალავანითა, სრულობით აიტაცა და წაიღო.

გაწყრა შაჰი და გააძო: ასეთი ტყუვილი რა სათქმელია, ფუნდუკი და მისი გარეშემო მფრინველმან აიტაცა და წაიღოო!

მოვიდა გაწბილებული დავრიში და ამხანაგს ყოვლი უთხრა. აგინა ამხანაგმან და ეგრე უთხრა: საშოვარს მოველოდი და შენ მაგისთანა ტყუვილით გამოძებული მოხვალო! ფუნდუკის აღება რამ გათქმევინაო? ან აქლემის ატაცებას იტყოდი, ან ცხენისასაო.

მერმე მან დავრიშმან თქვა: წავიდე ამ ჩემს ამხანაგს ტყუვილი გაუმართლოო.

მივიდა. შაჰმან დავრიში ნახა, ჰკითხა: მრავალი თემი გინახავს და რა უფრო უცხო გინახავაო?

მან დავრიშმან მოახსენა: ბევრი რამ უცხო მინახავს და გუშინ წინ რომ აქ უცხო ვნახე, მისთანა არა მინახავს რაო. რა მამლის ყივილი შეიქმნა, ჰაერითგან ხან აქლემის თავი ჩამოვარდა, ხან ფერხი, ხან ცხეხის ნაწყვეტი, ხან აგურის ნატეხი, ხან ალიზის ნალეწი. გათენებამდის ძილი არ მომსვლიაო.

შაჰს გაუკვირდა და თქვა: თურე იგი გუშინდელი დავრიში მართალს უბნობდა, და ცუდად გავაძეო.

მრავალი მისცა და ის ტყუილიც დაუჯერა.

– თქვენც სამთავ პირი შეგიკრავსთ და რომელიც ტყუვილს ტყვით, მეორეს ასეთს სიტყვას მოახსენებთ, რომ მეფეს დააჯერებთ და მე კი წამახდენთ.

თქვა ლეონ არაკი: